



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №19

2016 წლის 31 მაისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ლაფანაშვილის განცხადება თანამდებობიდან გადადგომისა და უფლებამოსილების მოხსნის თაობაზე მიღებულ იქნეს ცნობად.

2.საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება უზრუნველყოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გივი ზურაბაშვილმა, ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი



გივი ზურაბაშვილი